დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)

წევრები:

სერგო დურგლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) ;
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216317260

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	დავით გურამიშვილის ქ. N6
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2089?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rustavi17@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის , 21 მაისის ბრძანება № MES 8 25 0000554868
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	რუსთავი, დავით გურამიშვილის ქ. N6 – 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	რუსთავი, დავით გურამიშვილის ქ. N6 – 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	რუსთავი, დავით გურამიშვილის ქ. N6 – 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის , 21 მაისის, № MES 8 25 0000554868 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის, 16-17 ივნისს, განხორციელდა სსიპ _ ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე საავტორიზაციო ჯგუფის თავჯდომარემ სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფი. შედგა რამდენიმე წინამოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა, საგნობრივ ექსპერტებს დაევალათ გულდასმით შეესწავლათ სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და დადგენილ ვადაში მოეწოდებინათ დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა.

განათლების ექსპერტებს შორის გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაგზავნილი იქნა სკოლაში. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოწოდება, რამაც ექსპერტებს სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასების საშუალება მისცა.

სასკოლო სივრცეში შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლაში პროცესების მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, სამართლებლივი აქტები, კურიკულუმები, ხელშეკრულებები, პირადი საქმეები და სხვა.

Google Meet- ის პალატფორმაზე დისტანციურ რეჟიმში შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებს საგნობრივი კათედრების მიხედვით.

შეხვედრისას განხილულ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასკოლო გარემო. საგნობრივ ექსპერტებს გადაეგზავნათ ფოტომასალა , რომელზეც ასახული იყო სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიელურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსები.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებმა შეამოწმეს სკოლის მმართველობითი დოკუმენტაცია, ასევე პირადი საქმეები, ხელშეკრულებები , საქმისწარმოების ამსახველი დოკუმენტაცია, ელექტრობული ბაზები, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლას სამოცწლიანი ისტორია აქვს. სკოლას დაარსებიდან გერმანული ენის გაღრმავებულად სწავლების მიმართულებით ვითარდებოდა და არსებობის განმავლობაში უამრავი პროექტი ხორციელდებოდა გერმანიასთან თანამშრომლობით.

სკოლამ შეინარჩუნა გერმანული ენის გაღრმავებულად სწავლების პრაქტიკა, თუმცა გარკვეული წლების განმავლობაში ვეღარ ხერხდებოდა გერმანიასღან თანამშრომლობის აღდგენა და ერთობლივი პროექტების განხორციელება. ერთ-ერთი მიზეზი იყო სკოლის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა.

დღეს სკოლა ფუნქციონირებს სრულად რეაბილიტირებულ შენობაში და აქვს გამართული მატერიალურ ტექნიკური ბაზა. , რაც მამოტივირებელი ფაქტორი გახდა, იმისა რომ სკოლა კვლავ მოეძებნა გზები გერმანიის სკოლებთან დასაკავშირებლად და სკოლის მოსწავლეებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზების, კულტურული ღონისძიებებისა დაგეგმვისა და ენის სწავლების უახლესი მეთოდიკის დასანერგგვის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მისი და მიზანიც სწორედ ინტენსიური გერმანულენოვანი საგანმანათლებლო ცენტრად ჩმოყალიბებაა.

სკოლის დირექტორის ძალისხმევითა და ორგანიძებით სკოლამ მოახერხა გეგმის განხორციელება და დაუკავშირდა გერმანიის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და სამუშაო ვიზიტით მიიწვიეს სკოლის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიმართულია სტრატეგიული გეგმის განხორციელებისა და , რაც მთავარია, სკოლის მოსწავლეებისთვის ევროპული განათლების მიღების, მასწავლებელბისთვის კი კვალიფიკაციისა და პროფესიულად განვითარების საშუალების მისაცემად.

ქ. რუსთავში არ არსებობს სხვა ამ მიმართულების სკოლა, შესაბამისად სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საერთაშორისო პროექტები, მეტ ინტერესსა და მოტივაციას გამოიწვევს მოსახლეობაში და სკოლას ეყოლება მზარდი კონტინგენტი, რაც თავი მხრივ ფინანსურ მდგრადობასაც განაპირობებს.

ვფიქრობთ, დირექტორის მიზანდასახულობა სკოლის განვთარების მიზნით, მართლაც მისაბაძი პრაქტიკაა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 900	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,	*რეკომენდებულია,* *სკოლამ უზრუნველყოს სკოლის უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.* ***2026 წლის , 28 აპრილამდე,*** *მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*რეკომენდებულია ,* *სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში,* ***2026 წლის 28 აპრილამდე*** *იქონიოს შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტი და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი . რათა მოიპოვოს , მითითებულ მისამართზე (ქ. რუსთავი, დავით გურამიშვილის ქ. N6-ში) არსებულ შენობა-ნაგებობაში საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება კანონის შესაბამისად*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.2		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N2.122.2		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.2.1	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმის ცხრილში ასევე აისახოს კვლევითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოითხოვს რეალურ, ლაბორატორიაში ექსპერიმენტების ჩატარებას. ხოლო რესურსების ცხრილში ჩანდეს ექპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო მატერიალური რესურსი.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***საზოგადოებრიბვი მეცნიერებები*** *სასურველია, პედაგოგმა ყველა საგნის კურიკულუმში დააკონკრეტოს, ძირითადი და ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი*
ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *უკეთესი იქნება ყველა საგნის კურიკულუმში ,მეტი მტკიცებულება იყოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე (მაგ.სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები ითვალისწინებენ მოსწავლეთა* შესაძლებლობებსა და ინტერესებს.
ინდიკატორი N2.1.2.4	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** უმჯობესია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებში, მონაცემთა ანალიზი მეტი სიზუსტით იყოს წარმოდგენილი . (მონაცემები მკაცრ კორელაციაში იყოს ერთმანეთთან **უცხო ენა**

		სასურველია , სკოლამ ორგანიზება გაუწიონ ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის მიზნობრივ ტრენინგს სოლო ტაქსონომიის სამიზნე ცნებების მიხედვით დიფერენცირებულ გამოყენებაზე, გერმანული ენის კოლეგების მონაწილეობით, რათა მომზადდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) ცალ-ცალკე,ასევე შექმნან მეთოდური მუშაობის ჯგუფი, სადაც რეგულარულად განიხილება სოლო ტაქსონომიის პრაქტიკული გამოყენების კონკრეტული მაგალითები და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება
ინდიკატორი N 2.2.1.1.		**უცხო ენა** სასურველია, ინგლისურ ენაშიც განახორციელონ მსგავსი ან სხვა პროექტები, რაც გასცდება მხოლოდ პრეზენტაციების გაკეთებას და მოიცავს რეალურ, პრაქტიკულ საქმიანობას - მაგალითად, სოციალური ინიციატივების განხორციელება, კულტურული ღონისძიებები, ან ციფრული პლატფორმების გამოყენებით მოსწავლეთა ურთიერთობა ინგლისურენოვან თანატოლებთან, რაც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების ავთენტურ გარემოში განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის გაძლიერებას.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია კურიკულუმის ცხრილში აისახოს ყველა მატერიალური რესურსი - მანიპულატივები(ბურთულ - ღეროვანი მოდელების ასაწყობად), სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყოები, მიკროსკოპი, ქიმიური ნივთიერებები და რეაქტივები, რაც გამოიყენება სასწავლო პორცესში.
ინდიკატორი N 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერბები***

	უზრუნველყოფილია შესაბამი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით	სასურველია, გამწოვ სისტემასთან ერთად ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა. **უცხო ენა** რუსული ენის მასწავლებლებმაც გამოიყენონ აუდიო მასალები და არ წაუკითხონ მოსწავლეებს მოსასმენი მასალა მაშინ როცა სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ- ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 სკოლას 60-წლიანი ისტორია აქვს. მისი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეყრდნობა სკოლის თავდაპირველ მიმართულებას, კერძოდ, სკოლისთვის დაარსებიდან პროირიტეტი იყო გერმანული ენის გაღრმავებული სწავლება . სკოლის მისიაა, გახდეს ლიდერი სკოლა რეგიონის მასშტაბით გერმანული ენის გაძლიერებული სწავლებით, იმუშაონ მსოფლიო დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მოამზადონ მოსწავლეები წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულის რეალიზება ურუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, პოზიტიურ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში.

სკოლის ხედვაა , 2030 წლამდე გახდეს სივრცე, რომელიც ინტენსიური გერმანულენოვანი საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების განხორციელებით, კულტურული გაცვლებისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებით, უზრუნველყოფს ევროპულ და გლობალურ სივრცეში კონკურენტუნარიანი, ლიდერი მოქალაქეების აღზრდას.

სკოლის ღირებულებია;

1. ინკლუზიურობა და თანასწორობა - მრავალფეროვანი კულტურული გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე იღებს თანაბარ შესაძლებლობებს.
2. ინოვაცია და კრიტიკული აზროვნება - თანამედროვე სასწავლო მეთოდების გამოყენება და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება.
3. პასუხისმგებლობა და სამართლიანობა - ეთიკის რთიერთპატივისცემის და კულტურათაშორისი გაგების ხელშეწყობა.
4. თანამშრომლობა და საზოგადოებაზე ორიენტირება - მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კავშირი.
5. პატრიოტიზმი და გლობალური მოქალაქეობა - საკუთარი კულტურის დაფასება და გერმანულენოვანი სამყაროს ღირებულებების გაგება, ევროპულ სივრცეში აქტიური ჩართვის ხელშეწყობა.

დასახული ხედვისა და მიზნების მისაღწევი გეგმა სკოლას გაწერილი აქვს შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში
სტრატეგიული გეგმებისა და ამოცანების სახით.
აღნიშნული დადასტურდა სკოლის პასუხისმგებელ პირებთან და პედაგოგებთან ინტერვიუებიდანაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში , ხედვისა და ღირებულებებში პრიორიტეტად გამოყოფს ისეთ საკითხებს როგორიცაა მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და უსაფრთხო, პოზიტიურ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში.
მისიისა და ხედვის თანახმად, სკოლა ქმნის ყველა პირობას, სადაც დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს გააზრებული აქვს , რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის წახალისება.

შესაბამისად, სკოლა მისიისა და ხედვის შინაარსით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ქმნის პირობებს პიროვნული განვითარებისთვის.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

ექსპერტების მიერ სკოლის წარმომადგენლებთნ ინტერვუირებიდან გაირკვა, რომ სკოლას მისიის, ხედვისა და ღირებულებებიას ჩამოყალიბების პროცესში ხელმძღვანელობდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მექანიზმები სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. აღნიშნულ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა და ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში შეეცადა, მაქსიმალურად მოეცვა ყველა დაინტერესებული პირი . მათ მიერ გამოხატული სურვილის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ფილოსოფიის შემუშავებამდე შეისწავლა სასკოლო თემის ინტერესები კითხვარების, პირისპირ სამუშაო შეხვედრების გზით . სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს სკოლის მისიია, ხედვა და ღირებულებები. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შესაბამისი კითხვარები და ოქმები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მომავალი მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტების შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითვა და ანალიზი. სასკოლო საზოგედოებასთვის გასაზიარებლად კი სკოლამ გამოიყენა

სხვადასხვაპლატფორმები: სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები. უკუკავშირის მიღების მიზნით, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე განხილვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების გაზიარების პროცესი სკოლამ უზრუნველყო მისი შემუშავების ეტაპზე საბოლოო სახით ფორმულირებამდე და გასაჯაროებამდე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე გაზიარებულია სკოლის Facebook - გვერდსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა. ასევე, შეესაბამება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლებისათვის სახელის მინიჭების წესს“, რომლის შესაბამისადაც, სკოლა ატარებს ლევან გოთუას სახელს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი/ოქმები;

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან დადგინდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა უზრუნველყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ასევე ჯგუფს უნდა დაედგინა სასკოლო საზოგადოების საჭიროებები , რისთვისაც შედგენილ იქნა სპეციალური კითხვარები. კითხვარების და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას. იგი მოიცავს 2023-2030 წლამდე პერიოდს. მასში გაწერილია ის მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისიის მიღწევას და ხედვის რეალიზებას.

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულება კი თავის მხრივ დაყოფილია ამოცანებად და გაწერილია შესრულების ვადები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა , რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, SWOT ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა პრიორიტეტები და მათზე დაყრდნობით დაიგეგმა წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N2-63, 11/09/2023)
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
6. პედსაბჭოს ოქმი N 11. 18 სექტემბერი 2023

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

. სკოლის მიერ წარმოგდენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მუხლი 10, მუხლი 11). შეფასების ანალიზი ხდება წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ მიზნით დირექტორის ბრძანებენით განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, რომლის ორგანიზებითაც იმართებედა შეხვედრები სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებთნ. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან და სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დასტურდება , სასკოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით იტვირთება სკოლის ვებ-გვერდსა , ელექტრონული ფოსტზე, სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებში. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის მონიტორინგის და შეფასების შედეგები განათავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და ამით უზრუნველყო საჯაროობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას უკვე აქვს პრაქტიკა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე ახალი სამოქმედო გეგმის შედგენისა სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებებისა. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედეგები და SWOT ანალიზი სკოლამ გამოიყენა ს შემდგომი განვითარებისთვის და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის განხილვაზე;
- https://www.facebook.com/share/1EJ2qLSgwY/
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის იერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:
1. დირექცია;
2. პედაგოგიური საბჭო;
3. სამეურვეო საბჭო;

4. საგნობრივი კათედრები;
5. მოსწავლეთა თვითმმართველობა;
6. დისციპლინური კომიტეტი;
7. მრჩეველთა საბჭო.

დასაქმებული თანამშრომლების, ასევე კოლეგიალური სტურქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში და მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივ ინსტრუქციების მიხედვით სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან.

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება და ისეა განაწილებული, რომ შეძლონ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა. სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებსა და დასაქმებულ პირთა საქმიანობები და მოვალეობები დელეგირებულია, მათი ცოდნის, უნარებისა , კვალიფიკაციისა და ვალდებულებების მიხედვით და პროფესიული საქმიანობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხო და შეუფერხებელ განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები ითვალისწინებენ მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციებსა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით სამინისტროს მიერ გამოყოფილი კოორდინატორის მეთოდურ მითითებებს.

სკოლის ექიმი ხელმძღვანელობს სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით, თანამდებობრივი ინსტრუქციბითა და სკოლის მიერ შემუშავებული სამედიცინო დახმარების მექანიზმებით .

სკოლის საგნობრივი კათედრები საქმიანობას ახორციელებს სკოლის მიერ შემუშავებული კათედრის დებულების შესაბამისად.

სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილებებს ახორციელებს საჯარო სკოლის წესდების და ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.
მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებითა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- კეთედრების დებულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს და მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების რეგულაციებს.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მიზანები და მიდგომები. კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. პოლიტიკა

გულისხმობს სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ასევე შესწავლილი იქნა სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები და პირობები, შრომითი დისციპლინური გადაცდომები, გასატარებელი ზომები და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები , რომლებშიც აღინიშნული იყო თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, უფლებამოსილება-ვალდებულებები და დავის წარმოშობის შემთხვევაში-გასაჩივრების მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები . ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან დადგინდა, სკოლა სასწავლო წლის ბოლოს საზღვრავს, თუ რომელ პოზიციაზე საჭიროებს კადრის დამატებას, შესაბამისად აცხადებს ვაკანსიას და კონკურისის საფუძველზე არჩევს კადრს. ხოლო, თუ სკოლის დირექცია თვლის, რომ სჭირდება ისეთი კადრის დამატება, რომელსაც არ ითვალისწინებს საშტატო განრიგი, მაგრამ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭიროებს, ამ შემთხვევაში , საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის (იჯარით) შედეგად მიღებული შემოსავლებით, იყვანს შტატგარეშე თანამშრომელს .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას მკაფიოდ აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა . მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge, ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაცია. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით.წესით, საკონკურსო კომისიის მიერ კადრის შერჩევა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მიღებას, ობიექტურობის, გამჭვირვალობბის პრინციპით. რაც შეეხება სკოლის დანარჩენ პერსონალს, ახალ კადრს დირექცია არჩევს გასაუბრების გზით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტების მიერ შესწავლილი თანამშრომელთა პირადი სამეებისა და მათთან გაფორმებული ხალშეკრულებების , ასევე თანამშრომელთა ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია ნამდვილად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის ეთიკის კოდექსთან. სკოლაში დასაქმებულია 27 უფროსი ,მათ შორის 2 სპეც მასწავლებელი და 12 წამყვანი მასწავლებელი. ასევე, სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც აქვს პედიატრის კვალიფიკაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტისას შესამჩნევი იყო სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. ეს კარგად გამოიკვეთა როგორც საგნობრივი ექსპერტების კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე ვიზიტზე მოყვანილ ექსპერტების საავტორიზაციო სამუშაო ჯგუფთან შეხვედრისას. სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. როგორც თავადაც აღნიშნეს, სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბებიან და ერთად განიხილავენ ყველა იმ საკითხს , რომელთა გადაწყვეტაც განაპირობებს სასწავლო პროცესის უწყვეტად და ეფექტურად წარმართვას. ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და სხვა სამუშაო ჯგუფების ოქმებით, რომლებშიც ასახულია მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილების მიღებისას წევრების თანამონაწილეობა და გაზიარება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ნამდვილად იგრძნობა თანამშრომლობითი კულტურა. ამის ნათელი მაგალითია კათედრების ეფექტური მუშაობა, რომელთა შეხვერდრებზეც ერთობლივად იგეგმება გაკვეთილები , პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას . ვიზიტისას , ამ მიართულებით ყურადღება მიიქცია სკოლის დიდი გამოცდილების მქონე სპეც მასწავლებლისა და ახალგაზრდა სპეც მასწავლებლისა და ასისტენტების თანამშრომლობითმა ურთიერთობამ.

რაც შეეხება აღიარების , წახალისების ფორმები გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც, წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, წახალისების თაობაზე(მადლობა, ფულადი ჯილდო და სხვა) გამოიცემა დირექტორის ბრძანება. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, წარმატებული მოსწავლეებისა და თანამშრომლების შესახებ, მათი გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. აღნიშნული ინფორმაცია მომავალში ასევე განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კონკურსის მასალები;
- საათების გადანაწილების ბრძანება;
- ფუნქციის დროებით დაკისრება;
- პირადი საქმეები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- წახალისების ამსახველი პროცესები
- https://www.facebook.com/share/1EJ2qLSgwY/
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილი აქვს საქმიანობის შეფასებისა(მუხლი 14) და განვიათრების მექანიზმები(მუხლი 10). პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას.

შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით:

✓ შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
✓ თვითშეფასება;
✓ შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;
✓ კრიტიკული შემთხვევების შეფასება;
✓ გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;
✓ სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება .

პროფესიული განვითარების მექანიზმად (მუხლი 15) იყენებს დადგენილი საჭიროებების შესაბამისად რჩევების და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემასა და სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციიდან (მუხლი 14) გამომდინარე, რომელიც ასევე გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში , სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგ, ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა და საჭირო მომართულებით პროფესიული განვითარების დაგეგმვა. სკოლა იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს , გეგმავს შიდა ტრენინგებს, კათედრებზე უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, ასევე, სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.
აღსანიშნავია, რომ სკოლა პროფესიული განვითარების მიმართულებით ზრუნავს არამარტო პედაგოგებზე, არამედ მომსახურე პერსონალზე და ადმინისტრაციაზე. მაგალითისთვის , სკოლამ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინკურსის გავლის საშულება მისცა როგორც პედაგოგებს, ასევე ბუღალტერსა და ბიბლიოთეკარს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა , რადგან სკოლის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს პერსონალის კვალიფიკაციასა და მოტივაციას.

პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სკოლა იძებს და დროულად აწვლის ინფორმაციას არსებული აქტივობების თაობაზე , ხელს უწყობს თანამშრომლებს ჩაერთონ ტრენინგებში.

კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ყველა თანამშრომლისთვის თანაბრადაა ხელმისაწვდომი. ამის მაგალითია პირადი ასისტენტისკარიერული ზრდის ხელშეწყობა, რომელიც ახლა სკოლის სპეც მასწავლებელია. სკოლას ასევე აქვს მასწავლებლებისთვის ხელშეწყობის შედეგად სტატუსის ამაღლების პრაქტიკა, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების პრაქტიკა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, წარმოადგენს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და , ზოგადად, ცხადყოფს სკოლის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით. დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმები და ეტაპები (მუხლი 7, მუხლი 8 , მუხლი 9). სკოლაში ახალმიღებული მასწავლებელს ადაპტაციაში ეხმარება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრა, რომელიც ახალ მასწავლებელს აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. თანამშრომლის სოციალიზაციის მიზნით (მუხლი8) გათვალისზინებული გასვლითი კორპორატიული ღონისძიებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან , სკოლის დირექცია ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და მხარდასაჭერად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კითხვარების ანალიზი; (პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად)
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- თანამშრომლის ადაპტაციის შიდა წესი;
- სკოლის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივების ამსახველი მასალა.
- https://www.facebook.com/share/1EJ2qLSgwY/
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის მიზანია, სკოლის მისიის განხორციელება, ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას , ასევე აღწერს ძირითადსა და დამხმარე პროცესებს.

დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისის უზრუნველყოფის ორი შიდა და გარე ხარისხის მართვის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და განვითარებას.

შიდა ხარისხის მართვის სისტემა ე.წ. PDCA მიდგომას:

P – plan - დაგეგმე;
D – do - განახორციელე;
C – check - შეამოწმე;
A – act - მოახდინე რეაგირება (განავითარე).
გარე ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელშიც მოიაზრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე, ყოველ 9 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხმარე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების და ინფრასტრუქტურისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, , სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. კონკურსის ჩატარებისას, კანიდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კანონმდებლობით და სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით დადგენილ ვადებში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, მიმართოს სკოლას ნებისმიერი განცხადებით/საჩივრით. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესის დოკუმენტში, ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესში. დოკუმენტი ხელმისაწვდომია, ცნობილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე სკოლის ფოიეში. ასევე არსებობს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;

ასევე, გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისი მუხლები მოიცავენ უფლებების დაცვის მექანიზმებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საჩივრების განხილვის წესი;
- შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.
- ხელშეკრულებები.
- სკოლის ვებგვერდი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას ძირითადად სოციალური ქსელით, დახურულ ჯგუფებში კომუნიკაციით და მშობელთა კრებებზე აწვდის. ასევე, ატარებს პერიოდულ გამოკითხვას უკუკავშირის მიღების მიზნით, რომლის საფუძველზეც გეგმავს შესაბამის აქტივობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში სტრუქტურული კოლეგიური ორგანოების სახით ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო , მრჩეველთ საბჭო, სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, სკოლის თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები , მოსწავლეები, რაზ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლაში მიმდინარე პროცესების მართვაში.. თითოეულ ორგანოს დაბულებაში გაწერილი აქვს ფუნქცია-ვალდებულებები და შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კითხვარების ანალიზი;
- სტრუქტურული ერთეულების/ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას ეზო შემოღობილია კაპიტალურად რკინის ღობეებით, სკოლაში ნებისმიერი პირის შესვლას აკონტროლებს დარაჯი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს ორი მანდატური, ასევე სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, რომელთა ჩანაწერები ინახება მანდატურის სამსახურში.
სკოლაში მოქმედებს საშვთა სისტემა. შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლების ვიზიტის პერიოდი, ასევე გარეშე პირთა მიღების წესი. კერძოდ, გამონაკლის შემთხვევაში გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, ხოლო მშობლების ვიზიტისთვის დაწესებულია კონკრეტული დღე და საათები. სკოლაში დადგენილია სართულებზე მასწავლებელის მორიგეობის გრაფიკი.

სკოლა არის ახლადრეაბილიტირებული . ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის, სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. შესაბამისად, შენობა არ იყო ექსპლუატაციაში შესული.

სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს შენობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მისაღებად. ასევე, წერილით მიმართ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოსაპოვებლად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების ვადები , 2026 წლის 28 აპრილი, ასევე სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან , ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან , მიმართვიანობის დამადასტურებელი წერილები (1, MES 5 25 0000292550, 18.03.2025წ. 2. MES 3 25 000056457422. 05.2025წ. 3. ხელშეკრულება _277(საექსპერტო მომსახურების შესახებ, 18 ივნისი 2025 წელი.) .

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას უკვე დაწყებული აქვს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესი და მიმართა შესაბამის ორგანოებს, ასევე წარმოდგენილი აქვს შესაბამისობი გეგმა,

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია:

სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, 2026 წლის 28 აპრილამდე, მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს ორი მანდატური და კვალიფიციული ექიმი-პედიატრი, რომელებიც უზრუნველყოფენ ,საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარების აღმოჩენას, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი დახმარების წესით.

დათვალიერებით დადასტურდა, რომ ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი, შირმა, საათი, სასზორი, სიმაღლის საზომი, წნევის აპარატი, პულსომეტრი, დინამომეტრი, ფონეიდოსკოპი, საკეტიანი ტუმბო, თერმომეტრი, სამედიცინო კარადა, ყინულების ბუშტი,რეზინის ხელთთმანები, ნიღბები, სტერილური ბამბა და სახვევები...)

ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა მედიკამენტების ვადები . ყველა მადიკამენტი და ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებბების ვადიანობა დაცულია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც ეხმარებიან სკოლის მანდატურებს წესრიგის დაცვაში. სკოლაში მოქმედებს საშვთა სისტემა და ააღირიცხებიან შემსვლელი და გამშვლელი პირები.

უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სკოლის მანდატურები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებენ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები, თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი ნიშნები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინიციატივების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა.

სკოლაში თავლსაჩინო ადგილებზე გამოკრული 112 -ის ნომრები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა კეთილგანწყობილი და ემოციურად უსაფრთხო გარემო. თავად სკოლის დირექტორი , მანდატურის სამსახურის თანამშრომელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობითა და ნდობით ქმნიან სკოლაში ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს.

სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას:

- ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
- ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

ასევე სკოლა სასკოლო საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას , რომ საშიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან ან სოციალურ მუშაკთან სატელეფონო კონსულტაციით, მათ შორის ინტერნეტპორტალის – befriend.mes.gov.ge და მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის ხარისხს აკონტროლებს და ზედამხედველობს ექიმი. იგი ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს ინფორმაციას აწვდის დალაგების წესის, ქიმიური ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ, ზედამხედველობს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას.
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულება გაწერილია თანამდებობრვ ინსტრუქციებში. თითოეული დამლაგებლისთვის განსაზღვრული ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის დასუფთავებაც ევალება. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.ყოველი შესრულერბული სამუშაოს აღრიცხავა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალური მონაცემების,ფოტოსურათების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის , დამუშავებაზე მშობლების თანხმობის ფორმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც წვდომა აქვთ სკოლაში დაცულ პერსონალურ მონაცემებზე და გაწერილი აქვს აღნიშნულ პირთა ვალდებულებები, ასევე წესები, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვა. სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს არსებული პირადის ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. ასევე განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში სათანადოდ ინახება სკოლის მანდატურთან. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, სადაც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია, დაყენებულია პაროლი, ანტივირუსული სისტემები, პროგრამებზე წვდომა ხდება მხოლოდ სპეციალური ინდივიდუალური პაროლებით.
გარდა ამისა, სკოლას აქვს არქივი, რომლის მართვასაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მასში დაცული ინფორმაციის მოძიება შეუძლია მხოლოდ საქმისმწარმოებელს. სკოლამ რეაბილიტაციის შემდგომ დაბრუნებისთანავე, მიმართა არქივს 10 წლის დოკუმენტაციის შენახვა - გადაცემის მოთხოვნით

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, სკოლამ ჩაატარა სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვა სპეციალური ანონიმური კითხვარების მეშვეობით. კითხვები შეეხებოდა უსაფრთხოების დაცვას სკოლის ტერიტორიაზე. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით სკოლა დაგეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- წერილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან;
- შესაბამისობის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები; მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი შეადგენს **17 427 კვ/მ.** და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას.

სკოლის შენობა-ნაგებობა სრულად რეაბილიტირებულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ . შენობა შედგება ძირითადი სასწავლო 3__სართულიანი კორპუსისა და დამხმარე ადმინისტრაციული ნაწილისგან, რომელშიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტრის სამუშაო სივრცე, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), რესურსოთახი, გახანგრძლივებულისთვის საკლასო ოთახი, არქივი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, მანდატურების ოთახი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ღია რეკრეაციული სივრცე. სკოლის ეზოში არის ორი სპორტული მოედანი. სკოლას აქვს მოწესრიგებული გამწვანებული ეზო.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული სხველი წერტილები.

სკოლას ბალანსზე ერიცხება, მოსწავლეთა ზღვრული ოდენობისთვის საკმარისი ინვენტარი. მერხები, სკამები, საკლასო დაფები. რესურსოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ჯერ არ ჰქონდა საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი, რაც განპირობებული იმით, რომ ჯერ ვერ მოხერხდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და სკოლის უსაფრთხოების ნორმების დადასტურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოწოდება.
ვიზიტამდე სკოლამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დახმარების თხოვნით, რაც ასახული იყო დასკვნის პროექტში.
ექსპერტების დასკვნის პროექტის საპასუხოდ სკოლამ გამოაგზავნა წერილი არგუმენტირებული პოზიციითა და თანდართული დოკუმენტაციით.

რის საფუძველზეც საფუძველზეც ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი მეტწილად სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდებულია ,

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში, 2026 წლის 28 აპრილამდე იქონიოს შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტი და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი . რათა მოიპოვოს , მითითებულ მისამართზე (ქ. რუსთავი, დავით გურამიშვილის ქ. N6-ში) არსებულ შენობა-ნაგებობაში საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება კანონის შესაბამისად.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის . სკოლაში სრულიად ადაპტირებული გარემოა. აქვს ორი ლიფტი შშ პირების გადაადგილებისათვის. სკოლის ადმინისტრაციული შენობის ფლიგელში განთავსებულია ძირითადი საერთო მოხმარების სივრცეები :ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სასადილო დარბაზი, რომლითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ . სკოლაში კაბინეტური სისტემაა. ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საგბ=ნების ლაბორატორიები , დახურული სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, განთავსებულია მე-2_ მე-3 სართულებზე, თუმცა მათი ხელმისაწვდომობა შესაძლებელი ლიფებით. ასევე სასკოლო საზოგადოები ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს სკოლის ქონებით, კომპიუტერულ ტექნიკით, პროექტორებითა და სხვა რესურსით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც გამოკრულია შიდა სივრცეში. ასევე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. წიგნადი ფონდი კალსიფიცირებულია დებულების თანახმად, აღწერილი და გატარებულია ჟურნალში. ყველა წიგნი დაშტამპული და ბეჭედდარტყმულია მე-17 გვ-ზე.
ასევე აქვთ ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკარი აწარმოებს მკითხველის ბარათს . მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ელექტრონული , ციფრული ბიბლიოთეკით.
ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილი სივრცე მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს სკოლის ბაზაზე განახორციელონ, სოციო-კულტურული და შემეცნებითი აქტივობები .

ბიბლიოთეკის დათვალიერებისას ექსპერტების ყურადღება მიიქცია ალბომმა,, რუსთავის № 17 სკოლის მატიანე , რომელშიც შეტანილია იმ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახელები და გვარები , ვინც დაარსებიდან დღემდე სწავლობდა და ასწავლიდა რუსთავის #17 სკოლაში. ასევე წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ გაკეთებული ხელნაკეთი წიგნი, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ამ დროისათვის სკოლას ჰყავს 17 სსმ და 1 შშმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა და გარემო სრულიად ადაპტირებულია. სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი ყველა სართულზე, მოწყობილია პანდუსი, დამონტაჟებულია ლიფტი, საჭიროების შემთხვევაში სკოლას შეუძლია მოაწყოს სპეციალური ბილიკები სუსტმხედველი მოსწავლეებისათვის, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო სივრცით სარგებლობას. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ.
სკოლას აქვს მოწესრიგებული დიდი ეზო, ორი ღია სპორტული მოედანი, რომრლზეც იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები , როგორიცაა საფეხბურთო მატჩები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ განახორციელონ სოციალურ_ კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. საკონფერენციო სივრცეში, სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. სკოლლაშ აქვს ტექნიკურად აღჭურვილი , კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი, რომელშიც იმართება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- ფოტომასალა.
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულად რეაბილიტირებულია და შესაბამისად , როგორც ინფრასტრუქტურა, როგორც საგანმანათლებლო სივრცეები , ასვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრივ სრულად გამართულია და უსრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.სკოლას აქვს უწყვეტი კავშირის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 23 განახლებული კომპიუტერით.

გარდა ამისა სკოლას აქვს გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა :

1. 30 პერსონალური კომპიუტერი
2. პორტატული კომპიუტერი 57
3. პროექტორი 6
4. პრინტერი 6

სკოლის ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექცია და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და საჭიროების შემთხვევაში თითოეული ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვისა და მოსწავლეებისთვის. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტექნიკური პრობლემების მოგვარებას,

ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა უზრუნველყოფს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიასთან გამოკრულია მატერიალური_ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესები და ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;
- სკოლის ვებგვერდი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმის წარმოების წესსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი შიდა წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს.
სკოლას აქვს კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.
საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას, აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას , მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას. იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით.რომელის საშუალებითაც სკოლა დროულად გადასცემს ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ასევე , ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით იგზავნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები,ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ. აღნიშნულ ბაზასთან წვდომა აქვს საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერს. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კავშირით.

კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა rustavi17@mes.gov.ge.
სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.ასევე ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების, სკოლის პერსონალის, სახელმძღვანელოების, სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოსა და თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივად და დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. რომელთანაც ურთიერთობს ანგარიშგებისა და თანამშრომლობითი სახით დადგენილ ვადებში, 10 დეკემბრისთვის, და უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარუდგენს ყოველწიურ ანგარიშს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ასევე დადგენილ ვადებში აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იჯარის ფორმით ფართის გადცემის ან/და საარჩევნო კომისიისთვის ფართის დროებით გადაცემის შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმის წარმოების წესი;
- იჯარის ხელშეკრულებები
- საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება;

- დეკემბრის ანგარიშები;
- eSchool.emis.ge სკოლის პროფილი
- Eflow-ში დოკუმენტ-ბრუნვა
- rustavi17@mes.gov.ge
- სკოლის ვებგვერდი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელშიც აღწერილია ინფორმაციის სკოლის სახელით გავრცელების რეგულაციები.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2089? , რომელზეც განთავსებული აქვს სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ასევე აქვს სოციალური ქსელის გვერდი - Facebook, რომელიც წარმოადგენს სკოლის საკომუნიკაციო სივრცეს, ორივე პლატფორმაზე მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, სასკოლო აქტიური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ან პირდაპირი კომუნიკაციისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება ინფორმაციის გაცემა -გავრცელების საკითხს. ინტერვიუირებისას ხაზგასმული იქნა, რომ ინფორმაციას საინფორმაციო დაფეფზე, სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე აქვეყნებს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი, ამიტომ საკომუნიკაციო არხებიდან ეს იქნება (facebook) დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელის საშუალებითაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია, შემოსული ინფორმაცია თავს იყრის საინფორმაციო მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას სკოლის დირექციას. მუშავდება შემოსული ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2089 , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

. სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/2089 განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დირექტორი ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკლის ბიუჯეტს. . ბიუჯეტი იგეგმება რეალური გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს და წინა წლის გამოცდილებას.
თანხების განკარგვა ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა იღებს დამატებით დაფინანსება სამინისტროსგან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს.
სკოლის ბიუჯეტში ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს ვაჩერული დაფინანსებიდა, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან , ასევე იჯარით გაცემული ფართის(ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტული მოედანი, სასადილო დარბაზი) ქირა.
რეალური შემოსავლები ზუსტდება წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ და გეგმის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში სკოლა მიმართავს რესურსცენტრს.

სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი, რომლის თანახმადაც, ფინასური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის მიზნით, სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით მუშავდება და მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. შესყიდვებამდე სკოლის ბუღალტერი ატარებს ბაზრის კვლევას , ასევე ადგენს სკოლის საჭიროებს. ფინანსური რესურსების ამგვარი გეგმა ურუნველყოფს რეალური საჭიროებებისა და ხარჯების განსაზღვრას და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანას. სკოლას აქვს შესყიდვების შიდა მონიტორინგის მექანიზმი. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება ან/და შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება, რომელსაც დადგენილ ვადებში წარადგენს ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი.
- იჯარის ხელშეკრულებები.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე;
- შესყიდვების გეგმა და შესყიდვების განხორციელების წესი;

- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფელბების დასაცავად სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტი . კერძოდ , როგორიცაა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა . შიდა სასკოლო ყველა რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.
სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად, მათ შორის __ინკლუზიური სასწავლო გარემო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისწავდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რითაც სკოლა უზრუნველყოფს პროცედურებისა და ინფორმაციების გამჭვირვალეობასა და ხელმისაწვდომობას. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. შინაგანაწესს წლის დასაწყისშივე აცნობენ კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს. ასევე , გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის შინაგანაწესის გაცნობა აუცილებელია ახალი თანამშრომლის მიღებისას, ხოლო მოსწავლის ჩარიცხვისას მშობელს აცნობს კლასის დამრიგებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექპრეტების მიერ შესწავლილი იქნა სამივე საფეხური სკოლის მიერ მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად , მასში მკაფიოდ გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რაზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელის მოწერით, ხელშეკრულების ერთი ასლი რჩება სკოლაში , - მეორე კი ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. ჩამოთვლილი ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- . სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოებზე;

- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის ვებგვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლ შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის მარეგულირებელი შიდა წესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში მიღების ეტაპებს, განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს , სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცედურასა და სტატუსის შეჩერება _ აღდგენის პირობებს.
სკოლა კანცელარიის მეშვეობით აწვდის დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო ღონისძიებების, პირველ კლასში სსსმ მოსწავლის რეგისტარციისა და ჩარიცხვის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ, ასევე აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია სკოლის ფოიეში და ხელმისაწვდომია ყველასათვის . საფეხურის დაძლევის პირობები დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობისა და მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მექანიზმების შესაბამისად იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესს. მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.
მობილობის განხორციელება ხდება კანონმდებლობისა და შიდა მქექანიზმების საფუძველზე. მექანიზმებში გაწერილი პროცედურების განხორციელება ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, შესაბამის გრაფებში ინფორმაციის შეტანით. სკოლაში ყველა მოსწავლეზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განთავსებულია სკოლისვებ გვერდზე და უზრუნველყოფილია ამ სერვისის მიწოდების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. საასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული და სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სერვისებსა და პირობებს.

მაგალითისთვის: ბუფეტით სარგებლობის საშუალებას, მეორე ენისა არჩევის უფლებას და კლუბების არჩევის შესაძლებლობას. სკოლის სერვისები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის თანაბრად.

აღნიშნული დოკუმენტები გაზიარებულია და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზეც, შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.

სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს , მშობლების თხოვნის საფუძველზე, გახანგრძლივებული ჯგუფის გახსნას. ამის პრაქტიკა სკოლას უკვე აქვს. სკოლის რეაბილიტაციის პერიოდში ვეღარ აწვდიდა ამ სერვისს, ახალ შენობაში კი შესაძლებლობა აქვს განაახლოს სერვისი მიწოდება,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ განხორცილებული საქმიანობა საჯაროა. სკოლაში არსებული კლუბების, წრისა თუ სხვა დამატებითი სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფებსა და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლა სასკოლო საზოგადოებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში აწვდის ინფორმაციას ცვლილებების შესახებ .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;

- საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე და სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ახლად მიღებული მოსწავლის ადაპტირებისთვის. დოკუმენტში ცალკეულ მუხლებად არის გაწერილი პირველკლასელთა ადაპტაცის (მუხლი 4) , სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია(მუხლი 5), მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია(მუხილ6), საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია (მუხლი 7). ადაპტაციის წესში დეტალურად არის განსაზღვრული სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები, მათი განხორციელების პროცედურები და პრობლემის გადაჭრის გზები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიურებიდან დადგინდა, ისინი ცდილობენ , მოსწავლეთა სასწავლო გარემოს მიმართ ადაპტაციაზე ზრუნვას. კლასის დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. წლის დასაწყისშივე აცნობენ შინაგანაწესს , ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და

დამეგობრებას. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. ასევე, დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მოსწავლეს გაწევრიანდეს კლუბებში.

რაც შეეხება პირველკლასელთა მიღებას და ადაპტაციას, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში მათთვის ეწყობა ღია კარის დღეები, ათვალიერებენ სკოლას, სასწავლო გარემოს, ეცნობიან სკოლის ისტორიასა და დამკვიდრებულ წესებს. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება, ხოლო დამრიგებლები საკლასო ოთახს აწყობენ საზეიმოდ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის შემოწმების მექანიზმები. მათი გამოყენებით სკოლა იკვლევს სწავლის ხარისხსა და ადგენს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების საჭიროებებს , რათა შესაბამისი აქტივობების დაგეგმვით(დამატებითი მეცადინეობები, კონსულტაციები) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ასევე, ოპრატიულად აწვდის ინფორმაციას მშობელსაც, რათა მისი მხრიდანაც მოსწავლემ მიიღოს სათანადო მხარდაჭერა. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით,სკოლას აქვს ,ერთსა და იმავე კლასის მასწავლებელთ შეხვედრების პრაქტიკა. შეხვედრისას ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ასევე სკოლა გამოიყენებს რემედიაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. კერძოდ, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ.

სკოლა მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ საორგანიზაციო კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ. სკოლა გამოყოფს სასკოლო სივრცეებს აქტივობების განსახორციელებლად. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუდან დადგინდა , წელს სკოლის ორიმა მოსწავლემ ჩააბარა ექსტერნატის გამოცდები.

სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას 17 სსსმ მოსწავლე ჰყავს. თითოეულითვის მულტიდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციების

გათვალისწინებით სედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურს ოთახში. როგორც სპეცმასწავლებელთან ინტერვიუდან დადგინდა, ორ მათგანს 2025-2026 სასწავლო წელს უწევს გადაფასება, რის შესახებაც უკვე ინფორმირებულნი იყვნენ მათი მშობლები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები. პედაგოგების მიერ დაგეგმილი აქტივობი იგეგმება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. ამის დასტურია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში პროექტის ,,შეხვედრა წარმატებულ ადამიანებთან“ განხორციელება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

დამატებითი სერვისების დაგეგმვის სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და წინა წელს შეთავაზებული სერვისებით/პროგრამებით კმაყოფილებას და უკუკავშირის საფუძველზე ადგენს მომსახურების გაუმჯობესების მექანიზმებს. დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისთვის იყენებს სპეციალურად შედგენილ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სპორტული და საქველმოქმედო აქტივობების ამსახველი მასალები;
- აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიება-რემედიაციის პროგრამა;
- მოსწავლეთა ინიციატივების დაყენებისა და მხარდაჭერის ამსახველი მასალები;

- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი.
- მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ორიენტირებულია , საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაეხმაროს მომავალი პროფესიის სწორად არჩევასა და კარიერულ დაგეგმვაში. სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა პროფესიებს, მათ აქტუალობას, სპეციფიკასა და საჭირო უნარებს. კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ იგეგმება მიზნობრივი ექსკურსიები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში, როგორიცაა რუსთავში არსებული პროფესიული სასწავლებელი მოდუსი, პარლამენტი და სხვა.

მართავენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. სკოლაში განხორციელდა პროექტი „შეხვედრა წარმატებულ ადამიანებთან“ . ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მოესმინათ სპორტსმენის,ხელოვანის, საბავშო მწერლების წარმატების ისტორია და დაესვათ კითხვები

სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მემორანდუმის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც, სკოლის მოსწავლეებმა აქტიური ჩართულობით „პროფესიული ორიენტაციის კურსის“ გრანტი მოიპოვეს. იღებენ პროექტებში და კონფერენციებში მონაწილეობას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სკოლაში განხორციელდა პროექტი „ცხოვრება უკეთესია მეგობრებთან ერთად“. ბავშვებმა საკუთარი ხელნაკეთებით გაალამაზეს სკოლის ეზო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებთნ და უნივერსიტეტებთან . თანამშრომლობის ფარგელებში აორგანიზებს მათთან და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს. შეხვედრაზე მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, პირდაპირ პროფესიონალებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები. ისინი მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა იაზრებს რა წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას, მომავალი წლის სამოქმედო გაგმაში პრიორიტეტების დასახვისას ნელ-ნელა ნერგავს გაწეული მომსახურების შეფასების პრაქტიკას.

სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და გეგმავს შემდგომ ეფექტურ ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ სკლა თნამშრომლობდა კოლეჯ ,,იკარუსთან". თანამშრომლობის ფარგლებში საინტერესო პროექტები დაიგეგმა, რომელთა განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა, რადგან სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ასევე , სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული კოლეჯ ,,მოდუსთან" მოსწავლეები ეუფლებოდნენზე ზეინკალ-ტექნიკოსის, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟისა და მკერავის პროფესიულ უნარებს. მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს, განაახლოს ზემოხსენებულ კოლეჯებთან თანამშრომლობა. ინტერვიუდანვე გაირკვა არაერთ მოსწავლეს დაეხმარა სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმი უნივერსიტეტთან;
- სოციალური Facebook ქსელის ლინკი ვიზიტების თაობაზე;
- გამოკითხვა პროფორენტაციასთან დაკავშირებით.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. სასწავლო წლის დასაწყისში დგება სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 17 სსსმ მოსწავლე, თითოეული ჩართულია ზოგად საგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლა, სასწვლო წლის დასაწყისში , ერთი თვის ვადაში, ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო დაფუძნებული მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მისი მიღწევის გზებს,
სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. ისგ ჯგუფის წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში.
ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უკვე მრავალი წელია, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულების შესაბამისად, ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში .
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, ასევე, მოსწავლეებისთის შექმნილი რესურსები და მოსწავლელბის ნამუშევრები. შედარებული იქნა ინდ გეგმაში გაწერილ აქტივობებთან.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მიღწეულ შედეგებსა და ეფექტურ სტრატეგიებს. ასევე, სკოლაში შექმნილი ისგ ჯგუფი იკრიბება სამუშაო შეხვედრებზე წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ, საჭიროებიდან გამომდინარე განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს,მოსწავლის პროგრესსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლა მშობელს მუდმივ რეჟიმში აწვდის ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს

და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესსა და სწავლების შედეგებზე. კლასის საათზე თვეში ერთხელ ყველა კლასთან ტარდება საინფორმაციო გაკვეთილი სპეციალური მასწავლებლისა და კლასის დამრიგებლის მონაწილეობით. თემები იცვლება მოსწავლეთა ინტერესის მიხედვით, გარკვეული დრო ეთმობა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას.
როგორს სპეცმასწავლებლებთნ ინტერვიუდან დადგინდა, რესურს ოთახში, გარდა სსსმ მოსწავლეებისა, ინტეგრაციის მიზნით საკუთარი ინიციატივით აქტიურად არიან ჩართული ტიპური განვითარების მოსწავლეებიც, ერთად მუშაობენ, მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში. რაც ხელს უწყობს სოციალიზაციასა და თანასწორობას მოსწავლეებს შორის. სსსმ მოსწავლეები ინტეგრირებულები არიან სხვადასხვა კლასებში. სკოლის მასწავლებლების ხელშეწყობით თითოეულ კლასში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო, სწავლება კი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფი შექმნის ბრძანება;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მონიტორინგის ჯგუფი და დებულება
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს, სკოლას სასკოლო კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით იჯარით აქვს გაცემული ფართი. იჯარა გაფორმებულია დადგენილი ყველა პროცედურის დაცვით , მოპოვებული თანხმობების საფუძველზე. კვების ობიექტი რეგისტრირებულია ბიზნესოპერატორად შესაბამის რეესტრში.
სკოლაში, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სერვისის მიწოდების მიზნით მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს გახანგრძლივებული წრის გახსნა.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება . .ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი სერვისების მიწოდებას, როგორიცაა სასკოლო კვების ობიექტის ფუნქციონირება, სკოლა ახორციელებს ნებაყოფლობითობის პრინციპით . სკოლაში წრეები არ ფუნქცონირებს,მაგრამ სკოლას აქვს პრაქტიკა ფართების გაიჯარების, სადაც ფუნქციონირებს საფეხბურთო სკოლა, კალათბურთის აკადემია, ქართული ცეკვის სტუდია. ჩამოთვილი წრეების შესახებ სკოლა ინფორმაციას აწვდის მშობელსა და მოსწავლეს. დაინტერესების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ ჩართულობაზე. როგორც დირექტორთან ინტერვიუდან გაირკვა, სკოლის მშობლებისთვის კომფორტულია აღნიშნული წრეების სკოლის ბაზაზე ფუნქციონირება დროისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომლებშიც გაწერილია მოიჯარის ვალდებულებები და დასაცავი უსაფრთხოების ნორმები. კვების ობიექტის სანიტარული ნორმების დაცვას აკონტროლებს სკოლის ექიმი. გარდა ამისა, სკოლას შექმნილი ჰყავს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს კვების ობიექტის დადგენილი ნორმების შესაბამისად ფუნქციონირებას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვის წერილები ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით;
- მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და შემოწმების აქტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება N 2 – 160, 10 სექტემბერი 2024 წელი), რომლის მიზანია განსაზღვროს რა მეთოდებსა და მექანიზმებს იყენებს სკოლა კურიკულუმის განვითარებისთვის (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). მეთოდოლოგია აღწერს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, ასევე, ჩანს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რევიზიის დეტალები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შემუშავების დროს განისაზღვრება მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამები და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობები, საგანმანათლებლო რესურსები.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ასევე გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ადაპტირებული გეგმების შემუშავება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებსა და პროექტებში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთ-დაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარს. სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია გერმანული ენის გაძლიერებულად სწავლება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს უფრო აქტიურად გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების აზრის შესწავლის სხვადასხვა ინსტრუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინფორმაციის ორგანიზებისა და მარტივად ხელმისაწვდომობისათვის სკოლა იყენებს ღრუბლოვან საცავს OneDrive და Teams პლატფორმას. სკოლას აქვს ვებ. გვერდი და Facebook პროფილი სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ყოველდღიურად სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები, სასკოლო კურიკულუმი, პროექტები, სადამრიგებლო საათები, კლუბების/ წრეების შესახებ ინფორმაცია და სხვა. ასევე შექმნილიაTeams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. მოსწავლეები თითოეულ საგანში იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ. ეს უკუკავშირი, ასევე ხელმისაწვდომია მშობლისათვის, რათა ზუსტად დაადგინოს მისი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლას აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები დაარქივებული, ნაწილი ელექტრონულად ნაწილი მატერიალურად. დასრულებული კურიკულუმი იტვირთება სკოლის შესაბამის ჯგუფში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25;
- მშობელთა და მასწავლებლის კითხვარი;

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში , , სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად).

	შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სამივე უცხოურ ენაში (ინგლისური, რუსული, გერმანული), ყველა საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მკაფიოდ ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის პრინციპებს. კურიკულუმები აგებულია 7 თემატური ერთეულისგან, სადაც თითოეული თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას - ოჯახი, მეგობრები, სპორტი, მუსიკა, სკოლის ცხოვრება, ჯანმრთელობა და არდადეგები. პროგრამა ინტეგრირებულად აკავშირებს ოთხ ძირითად უნარს (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) და ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიებს. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმი შეიცავს პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა პრეზენტაციის მომზადება, ბლოგპოსტის დაწერა და ინტერაქტიული აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 1.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს კარგად ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც იმდაგვარადაა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, კურიულუმებში შერჩეული თემები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

	ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურუკულუმები, სამივე საფეხურზე, შედგენილია და სრულად ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. გაწერილი მიმართულებები, სამიზნე ცნებები, თემები/საკითხები. შესაბამისობაშია ესგ მოთხოვნებთან.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გაწერილია მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები. კომპლექსური დავალებისიდეები აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეს შესასწავლი საკითხი დააკავშიროს შემდგომში საკუთარ გამოცდილებასთან. დაფარულია ყველა საკითხი 2-6 კლასების ჩათვლით საფეხურებრივად, რაც მოეთხოვება მასწავლებელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის

	კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს , რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფში მუშაობისას), პროცესის ბოლოს ხდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელსაც თან ახლავს მატრიცა - აქტივობებით, შეფასების რუბრიკები და დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმის ცხრილების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და კომპლექსური დავალების მატრიცების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკლმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია კურიკულუმის ცხრილში ასევე აისახოს კვლევითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოითხოვს რეალურ, ლაბორატორიაში ექსპერიმენტების ჩატარებას. ხოლო რესურსების ცხრილში ჩანდეს ექპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო მატერიალური რესურსი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს , რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფში მუშაობისას), პროცესის ბოლოს ხდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	უცხოური ენებში სამივე საფეხურზე მოცემული კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. სილაბუსებში ნათლად არის ასახული სამი ძირითადი სამიზნე ცნება: ზეპირი კომუნიკაცია (შედეგები 1, 2, 3, 4, 5, 8), წერითი კომუნიკაცია (შედეგები 1, 2, 3, 6, 7, 8) და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 9, 10), რაც პირდაპირ მიუთითებს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებზე. კურიკულუმი ითვალისწინებს კომუნიკაციის სიტუაციურ მახასიათებლებს, მაკრო და მიკრო ფუნქციებს, ლექსიკურ და გრამატიკულ კომპეტენციებს, აგრეთვე სოციოკულტურულ რეალიებს და კულტურულ არტეფაქტებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული თემა მიმართულია კონკრეტული სასწავლო შედეგების მიღწევაზე და ინტეგრირებულად აკავშირებს ენობრივ უნარებს კულტურულ კომპეტენციასთან, რაც ეროვნული გეგმის ძირითადი პრინციპებია. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. ჩანს, რომ

	შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. 1. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურუკულუმები შედგენილია და მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, ორიენტირებულია მოსწავლეზე. შედგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, ყველა საგანის (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებსა თუ მატრიცებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნვეყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის , საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ

	წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციის ბმულები, კვლევითი დავალებებისთვის საჭირო სხვა რესურსები (ექსპერიმენტის ინსტრუქცია), რაც ხელს უწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი, როგორც გრიფირებული ,ისე დამატებითი (ბეჭდური და ელექტრონული რესურსი) რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. *რჩევა: სასურველია, პედაგოგმა ყველა საგნის კურიკულუმში დააკონკრეტოს, ძირითადი და ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი*
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე და სამივე უცხოურ ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სრულყოფილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან ყველა თემისთვის გათვალისწინებულია როგორც ძირითადი რესურსი (სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული), ისე მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები (ვიდეო-გაკვეთილები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, კულტურული მასალები, ბარათები, პოსტერები), რომლებიც კომპლექსურად ფარავენ სტანდარტის ყველა შედეგს და უზრუნველყოფენ ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) განვითარებას დიფერენცირებული და პრაქტიკული მიდგომით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ძირითადი რესურსები(გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ მატერიალური რესურსი. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი) რომელიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. კურიკულუმში გაწერილია ძირითადი და დამტებითი რესურსები ციფრულ ხელსაწყოებზე, რასაც იყენებს პედაგოგი, ასევე ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ პედაგოგი იყენებს დამატებით ელექტრონულ ლიტერატურას ტექნოლოგიებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ***რჩევა:*** *უკეთესი იქნება ყველა საგნის კურიკულუმში ,მეტი მტკიცებულება იყოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე (მაგ.სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები* ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სამივე უცხოურ ენაში სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რადგან სილაბუსში თითოეული თემისთვის წარმოდგენილია

	მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები - ვიზუალური მასალები, აუდიო/ვიდეო კონტენტი, ინტერაქტიული თამაშები, პროექტული დავალებები, კულტურული კომპონენტები - რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოითხოვოს სხვადასხვა სწავლის სტილი და ინდივიდუალური საჭიროებები, ხოლო სტრატეგიების ხაზგასმა (მოსმენის, კითხვის, ლაპარაკის და წერის სტრატეგიები) და ყველა ენობრივი უნარ-ჩვევის ინტეგრირებული განვითარება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას. რადგან სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, დავალებებში, ინდ. გეგმებში იკვეთება დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. ინტერვიუში კათედრის წევრები საუბრობენ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდზე, გაწერილია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სასწავლო წლის ბოლოს ინდ. გეგმებით მოსწავლეთა პროგრესის შეფასებები., აქვეა ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთათვის მისაწოდებელი დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ვასკვნი, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

	ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია ისგ, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. იკვეთება მასწავლებელთა მზაობა, წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ რამდენიმე კლასის მაგალითზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.

	ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგანში შეფასების კრიტერუები შემუშავებულია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოდგენილია, კონკრეტული თემის ფარგლებში,რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში არსებულ მიღწევებზე და არსებულ გამოწვევებზე. შესაბამისად, ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. რჩევა: უმჯობესია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებში, მონაცემთა ანალიზი მეტი სიზუსტით იყოს წარმოდგენილი . (მონაცემები მკაცრ კორელაციაში იყოს ერთმანეთთან)
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა სრულყოფილად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რადგან როგორც განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკები ასევე სოლო ტაქსონომიის ხუთდონიანი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის

	ინდივიდუალური პროგრესის ობიექტურ აღრიცხვას და ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების პრინციპების რეალიზაციას. თუმცა, ინგლისურ ენაში წარმოდგენილი იყო ზოგადი შეფასების სისტემა, რაც არ იყო დაყოფილი სამიზნე ცნებებად - მაგალითად, კითხვისა და წერის დროს ერთიდაიგივე სოლო ტაქსონომიას იყენებდნენ, რაც არ არის მართებული. თუმცა, გასაუბრების დროს გერმანული ენის მასწავლებლებმა აჩვენეს დიდი კომპეტენცია და ცოდნა ამ მიმართულებით. **სკოლას მიეცა რჩევა: ორგანიზება გაუწიონ ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის მიზნობრივ ტრენინგს სოლო ტაქსონომიის სამიზნე ცნებების მიხედვით დიფერენცირებულ გამოყენებაზე, გერმანული ენის კოლეგების მონაწილეობით, რათა მომზადდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები თითოეული ენობრივი უნარ-ჩვევისთვის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) ცალ-ცალკე, ასევე შექმნან მეთოდური მუშაობის ჯგუფი, სადაც რეგულარულად განიხილება სოლო ტაქსონომიის პრაქტიკული გამოყენების კონკრეტული მაგალითები და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება**. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოდგენილია, კონკრეტული თემის ფარგლებში,რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და შესაბამისი მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

მათემატიკა	სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლეთა შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილია განმვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოებისათვის. აკვირდებიან, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლის განვითარების დინამიკას. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას, რაც მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *კომპლექსური დავალებები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების ჩამონათვალი;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემოქმედებითი დავალება,საეტაპო აქტივობები;*
- *კომპლექსური დავალების მატრიცები;*
- *სასკოლო და სასწავლო პროექტები;*
- *სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ;*
- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის შინაგანაწესითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალებით.*

კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

კომპლექსური დავალება მე-6 კალსი;

კომპლექსური დავალება მე-4 კლასი;

განმავითარებელი შეფასება მე-4 კლასი;

შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

შემოქმედებითი დავალების ნიმუში;

ისგ-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;

სამივე საფეხურის კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით.

შემოქმედებითი დავალება,საეტაპო აქტივობებით-მუსიკაში.

საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმსაზღრველი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების მატრიცები. სასკოლო და სასწავლო პროექტები. საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში : · *სკოლის მისია , ხედვა, ღირებულებები ;*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- · *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;*
-

- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ;*

  დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი კურიკულუმში;

მათემატიკა: **წარმოდგწენილი კურიკულუმიებით; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობებით; შეფასების მასალებით;**

სკოლის შინაგანაწესითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია კომპლექსური, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები სადაც ჩანს, რომ აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემოქმედებითი პროდუქტების, ვიდეო გაკვეთილების, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციების გარდა სკოლაში მოსწავლეები მუშაობენ კვლევით დავალებებზე, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და კვლევის უნარების განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებულ ჩარჩო/კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი მიღწევის გზები ნაჩვენებია შუალედური სასწავლო მიზნების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად.. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სრულყოფილად დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც მკაფიოდ ჩანს გერმანული ენის საერთაშორისო პროექტის "Learn, Share, Care-United Across Borders" განხორციელების მაგალითზე. პროექტი ინტეგრირებს კურიკულუმის ყველა მიზანს - ენობრივი კომპეტენციების განვითარებას (რეცეპტების წიგნის მომზადებისა და თარგმნის ეტაპზე), კულტურათა დიალოგს (სამი ქვეყნის სკოლების ურთიერთთანამშრომლობა), სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას (სოციალური პროექტების განხორციელება, მოხუცთა თავშესაფრისა და უსახლკარო ბავშვების დახმარება), ასევე პრაქტიკული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენებას რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში. პროექტის მრავალეტაპიანობა - ონლაინ შეხვედრებიდან დაწყებული ფიზიკური ვიზიტებით დამთავრებული - ხელს უწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას, ხოლო მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელოვანი ზრდა და გერმანული ენის სწავლების მოთხოვნის გაძლიერება ადასტურებს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების წარმატებულ რეალიზაციას. **სკოლას მიეცა რჩევა** ინგლისურ ენაშიც განახორციელონ მსგავსი ან სხვა პროექტები, რაც გასცდება მხოლოდ პრეზენტაციების გაკეთებას და მოიცავს რეალურ, პრაქტიკულ საქმიანობას - მაგალითად, სოციალური ინიციატივების განხორციელება, კულტურული ღონისძიებები, ან ციფრული პლატფორმების გამოყენებით მოსწავლეთა ურთიერთობა ინგლისურენოვან თანატოლებთან, რაც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების ავთენტურ გარემოში განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის გაძლიერებას. **ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია შუალედური სასწავლო მიზნების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, რომლებიც ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის

	დაგეგმვისა და წარმართვის გზას კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებზე (პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით, სხვა) საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. სკოლაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის განვითარებას, მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას. მაგალითად, მასწავლებლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა დროულად უზრუნველყოფს შემცვლელი მასწავლებლის მოძიებას და მის ეფექტიან ჩართვას სასწავლო პროცესში. ხდება კადრის ჩანაცვლება იგივე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მიერ, იმგვარად, რომ არ დაირღვეს სასწავლო წლის განმავლობაში საგნისთვის განკუთვნილი საათების დაგეგმილი რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში ახდენს კურიკულუმის მოდიფიცირებას და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს

	მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი,სადაც წარმოდგენილი აქვს შეფასების ინსტრუმენტები. (განმავითარებელი და განმსაზღვრელი). შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, წარმოდგენილი რუბრიკები იმ ცოდნის გაზომვის საშუალებას იძლევა, რაც სტანდარტითაა მოთხოვნილი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც დადასტურდა სოლო ტაქსონომიის სისტემური გამოყენებით, განსაკუთრებით გერმანული ენის მიმართულებით, სადაც მასწავლებლებმა აჩვენეს მაღალი კომპეტენცია სამიზნე ცნებების მიხედვით დიფერენცირებულ შეფასებაში, ხოლო სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ესთეტიკის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მიერ მოწოდებული მიმდინარე და მომავალი სასწავლო წლის სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, რომლებშიც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), შემიძლია

	დავასკვნა, რომ შეფასების სისტება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით.
ტექნოლოგიები	მოწოდებული შეფასების კრიტერიუმები და გასაუბრებაზეც აღინიშნა, რომ ის არის კათედრაზე განხილული რათა მოხდეს შეფასების სისტემის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისი კომენტარის დართვა რათა უფრო მოქნილი და გასაგები ენით იყოს დაწერილი, ამასთან შეფასების რუბრიკები არის გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყობს სამიზნე ცნებების გარშეწმო ფოკუსირებას რაც თავისთავად ვალუდურს ხდის რუბრიკებს, ხოლო ის დაინტერესებული პირებისათვის არის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე კრიტერიუმები არის სანდო ვალიდური და გამჭვირვარე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და

	მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები და მეთოდები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;

შეფასების ვერიფიკაციის წესი;

სამივე საფეხურის კურიკულუმები,სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით.

სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები, მასწავლებლის სემესტრული და წლიური ანგარიშები, კათედრის და საგნის მასწავლებლის სამოქმედო გეგმები, კლუბის ფარგლებში განხორციელებეული პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ექპერიმენტის ჩატარების ინსტრუქცია, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზები, დიაგნოსტიკური

 იგივე სადირექტორო წერის ანალიზები საბაზო და საშუალო საფეხურზე, შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.

.საზოგადოებრივი მეცნიერებები : ვერიფიკაციის მეთოდოლოგია/ სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;

 ‘’სადირექტორო წერის” ანალიზები საბაზო და საშუალო საფეხურზე,

კათედრის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვირტუალური ლაბორატორია, სიმულაციები, ვიდეო გაკვეთილები, აუდიო ჩანაწერები - რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაცია. გასაუბრებისას გამოიკვეთა სხვა მატერიალური რესურსების გამოყენება. რჩევა: სასურველია კურიკულუმის ცხრილში აისახოს ყველა მატერიალური რესურსი - მანიპულატივები(ბურთულ - ღეროვანი მოდელების ასაწყობად), სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყოები, მიკროსკოპი, ქიმიური ნივთიერებები და რეაქტივები, რაც გამოიყენება სასწავლო პორცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად., მოცემული რესურსები , განაპრობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი სრულყოფილად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა სკოლის მიერ გადმოგზავნილი განხორციელებული პროექტების სურათებით, პოსტერების ბარათებით და პრაქტიკული

	აქტივობების ვიზუალური მასალით, რომლებიც ცხადად ასახავს თუ როგორ იყენებენ მასწავლებლები როგორც ძირითად რესურსებს ისე დამხმარე რესურსებს (ვიდეო მასალები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, კულტურული კომპონენტები), ასევე სკოლა აქტიურად ახორციელებს პროექტულ საქმიანობას, რაც ნათლად ადასტურებს სილაბუსში მითითებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას რეალურ საგანმანათლებლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად.შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, როგორც ვიდეო ასევე აუდიო რესურსი, რაც განაპრობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება.

სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი, მათ შორის ტექნოლოგიების საგნისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი ძირითადი და დამხმარე მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაშ არის კომპიუტერული ლაბორატორია, აღჭურვილი კომპიუტერებით. კურიკულუმში გაწერილია ციფრული რესურსბის გამოყენება. პედაგოგი იყენებს დამხმარე ელექტრონული საღელმძღვანელოს. დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება ძირითადი და დამხმარე რესურსების ვალიდაცია. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება გრიფირებული სახელმძღვანელოების და სხვა რესურსების შერჩევა.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეხვედრებზე ხორციელდება **ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების** ვალიდაცია .. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ირჩევენ,, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სხვა ავტორიზებულ რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას საგნობრივი კათედრის სისტემატური შეხვედრების მეშვეობით, სადაც სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს როგორც ოფიციალურად გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესი, ისე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ რეკომენდებული საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და დამტკიცება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა გამოყენებული დამხმარე მასალა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში.სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც.

	ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. სკოლა სრულყოფილად უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის. ეს ნიშნავს, რომ სკოლა ამოწმებს და ადასტურებს დამხმარე სასწავლო რესურსების შესაბამისობას და ეფექტურობას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნებში სამი(ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის) ლაბორატორია - ცალკე საპრეპარატო ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით (არის რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი, ბიოლოგიური პრეპარატები, ორგანოების მოდელები, ხელსაწყოები და სხვა). სამივე ოთახი აღჭურვილია გამწოვი სისტემით, წყლით და კანალიზაციის სისტემით. ამ ეტაპზე, სკოლაში ტარდება სამივე სააგანში ექსპერიმენტები. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრას დაგეგმილი აქვს მომდევნო სასწავლო წლისთვის დამატებით, მატერიალური რესურსებით, სხვადასხვა ლაბორატორიული აღჭურვილობით შევსება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა: სასურველია გამწოვ სისტემასთან ერთად ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი კარადა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულყოფილად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - სკოლაში არის ლეპტოპი, პროექტორი და მასწავლებლები ასევე

	იყენებენ მობილურ ტელეფონებს და ხმის გამაძლიერებელი, რაც შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული აუდიო-ვიზუალური მასალები. თუმცა, გასაუბრების დროს გამოიკვეთა რუსული ენის მიმართულებაში პრობლემური ტენდენცია - მასწავლებლები ხშირად თავად უკითხავენ მოსასმენ ტექსტებს, რაც არ არის მეთოდოლოგიურად გამართლებული. **სკოლას მიეცა რჩევა: რუსული ენის მასწავლებლებმაც გამოიყენონ აუდიო მასალები და არ წაუკითხონ მოსწავლეებს მოსასმენი მასალა მაშინ როცა სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, ძირითად და დამხმარე რესურსს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. დაკმაყოფილებულია ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები.
მათემატიკა	სკოლა აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის

	განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

განხორციელებული პროექტების ბმულები;

კათედრის ოქმი N1;

ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები : განხორციელებული პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად.კურიკულუმში გაწერილი მიდგომების შესაბამისად, სკოლა იყენებს მრავალმხრივ შეფასების მეთოდებს, მათ შორის ფორმალურ და არაფორმალურ შეფასებას, განმავითარებელ შეფასებას, დიაგნოსტიკურ და შემაჯამებელ ფორმებს. შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის განსაზღვრაზე, სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაზე.

მონიტორინგის პროცესში ხდება სასწავლო პროცესის სისტემური დაკვირვება, ანალიზი და უკუკავშირის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. მეთოდოლოგია ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს სიზუსტეს, ობიექტურობასა და მიზნობრიობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის პრაქტიკით დგინდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების დასადგენად.

სკოლაში რეგულარულად მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი და საქმიანობის შეფასება როგორც ინდივიდუალური მასწავლებლის, ისე მთლიანად სასწავლო პროცესის დონეზე. აღნიშნული პროცესები ეფუძნება სხვადასხვა მონაცემზე დაფუძნებულ ანალიზს, მათ შორის დაკვირვებას, უკუკავშირს, ხარისხის მექანიზმებით შეგროვებულ ინფორმაციას და დასკვნებს.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები საფუძველზე სკოლა ქმნის შესაბამის ღონისძიებების გეგმას — იქნება ეს სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, რესურსების გადანაწილება, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება თუ სხვა მხარდამჭერი ქმედება. სკოლის ადმინისტრაცია სისტემურად იყენებს შეფასების შედეგებს პრაქტიკული გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც მიანიშნებს პროცესზე ორიენტირებულ მართვაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სკოლის მიერ განიხილება მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმად.

მონიტორინგი და შეფასება მიზანმიმართულად ემსახურება სკოლის საზოგადოების – პედაგოგების, მოსწავლეების და ადმინისტრაციული პერსონალის – პროფესიული და ინდივიდუალური წინსვლის ხელშეწყობას. შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პერსონალის გაძლიერებისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება მოიაზრებს იმას, თუ რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცეცსის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. სკოლის კურიკულუმის შეფასება ჰოლისტურ ხასიათს ატარებს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდების, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებას. მოსწავლის პროგრესის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა მონიტორინგის შედეგი. მონიტორინგის განხორციელე-ბისთვის სკოლაში შერჩეულია ეფექტური ინსტრუმენტები, როგორიცაა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმა, კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიღწევების აღწერა, დიაგნოსტიკური წერები და მათი ანალიზი, სემესტრული და წლიური შეფასების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებზე, პროექტებზე, მასწავლებლის/ კათედრის თავმჯდომარის წლიური ანგარიში, კათედრის swot -ანალიზი და ა.შ. ამ ინტერვენციებით ხდება კურიკულუმით დაგეგმილი და რეალიზებული ნაბიჯების ეფექტიანობის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და მიღწეული შედეგების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ასახულია, თუ რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინასწარ განისაზღვრება რა უნდა იყოს შეფასების ერთეული და მიზანი. ხორციელდება მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. კლასის ხელმძღვანელები ატარებენ კლასის საათს, მოსწავლეებთან ინდივიდუალურ საუბრებს, მშობელთა კრებებს, იწვევენ ერთი კლასის პედაგოგების შეკრებას და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე აწვდიან რეკომენდაციებს კლასში შემსვლელ მასწავლებლებს. ამავე დროს, მასწავლებელი მოსწავლის პროგრესის შეფასებისას ითვალისწინებს სხვა აუცილებელ კონტექსტსაც. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს. მასწავლებლები ატარებენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და კლასის შეხვედრებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მოსწავლეთა ინტერესების გამოკითხვის მეთოდი, ეხმარებათ სკოლის მასწავლებლებს ინფორმაციის მოპოვებაში, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვლისწინებით, როგორიცაა მოსწავლეთა ასაკი, ინდივიდუალური შესაძლებელობები, აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები, რომელთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეებს შევუქმნათ პოზიტიური და მოქნილი სასწავლო გარემო. ამ მხრივ ყველაზე ტიპური პროცესი არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, მოსწავლის პროფილის შემუშავება დიფერენცირებული მიდგომებითა და კონსტრუქტივისტული სწავლებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშებისა და რევიზიის დოკუმენტების საფუძველზე გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით მასწავლებლები აყალიბებენ სამომავლო ხედვებსა და სწავლა-სწავლების გაუმჯობესების გზებს, განსაზღვრავენ რეკომენდაციებს. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ კათედრის ხელმძღვანელები ანგარიშს წარმოადგენენ განიხილება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია, როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს (აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე), პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ამ გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო წლის გეგმაზე. მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება რეკომენდაციები ახალი კურიკულუმის შესამუშავებლად, აგრეთვე რეკომენდაციები სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი : 07.07.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: